ავთანდილ ჭკუასელის ორი ბურთი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 26 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) – 2:1 (1:0).

“დინამო” – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, რამიშვილი, ხასაია, ჭკუასელი, ღოღობერიძე, იამანიძე, მესხი.

“ტორპედო” – დენისენკო, სოკოლოვი, მარენკო, ოსტროვსკი, ანისიმოვი, სენიუკოვი, მეტრეველი, ივანოვი, ფალინი, სავუშკინი (ტერეხოვი), არბუტოვი.

მსაჯი: ვ. ბოგდანოვი (ლენინგრადი).

ლიდერთა მატჩი დაიწყო საკმაოდ ფრთხილად, ზომიერ ტემპში. ორივე გუნდის დაზვერვითი ოპერაციები მოწინააღმდეგის დაცვაში სუსტი ადგილების აღმოსაჩენად უშედეგო გამოდგა, ვინაიდან ასეთი ადგილი არ ჰქონდათ არც თბილისელებს, არც მოსკოველებს. ეტყობოდა, რომ “ტორპედო” საგანგებოდ უფრთხილდებოდა თავის კარს, სადაც განვლილ 4 მატჩში არც ერთი ბურთი არ ყოფილა გატანილი, ამიტომ მცველები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ყოველგვარი “ინციდენტი” მათს ნახევარზე მოთავებულიყო გართულებათა გარეშე, მეკარემდე.

პირველი 10 წუთის განმავლობაში ტორპედოელები წარმატებით ასრულებდნენ ამ ამოცანას – მეკარე არ ჩარეულა თამაშში, მაგრამ მე–10 წუთზე დენისენკო იძულებული გახდა პირველად ჩარეულიყო თამაშში და… პირველი ბურთი გამოეტანა კარიდან. ჭკუასელმა შორიდან წამოიღო ბურთი და შევიდა საჯარიმო მოედანში. მას შეეძლო დაერტყა კარში, მაგრამ ამჯობინა წინ მყოფი ნახევარმცველის მოცილებაც, მოიტოვა იგი უკან და ძლიერი დარტყმით მარჯვენა დაბალ კუთხეში გახსნა ანგარიში – 1:0.

მოსკოველებმა მაშინვე მოუმატეს ტემპს. მათს თავდასხმაში უდავოდ ყველაზე ძლიერია მარჯვენა ფლანგი მეტრეველი–ივანოვი. სწორედ აქედან სცადეს ტორპედოელებმა “დინამოს” დაცვის ხაზის გარღვევა, მაგრამ ხოჭოლავა და რამიშვილი უშეცდომოდ თამაშობდნენ თავიანთ მეტოქეთა წინააღმდეგ. მეტად სახიფათო, სწრაფი ფორვარდი მეტრეველი ამ დღეს ხოჭოლავას მიერ 90 წუთის განმავლობაში სუფთად იყო ჩაკეტილი და თითქმის არც ერთი კომბინაცია არ დაუმთავრებია გარღვევით ან კარში დარტყმით. შესანიშნავად ჩაატარა მატჩი რამიშვილმა ივანოვის წინააღმდეგ, თუმცა ოლიმპიური ჩემპიონი მთელი თავისი მონდომებითა და ოსტატობით ცდილობდა ხელთ ეგდო მმართველობის სადავეები თავდასხმაში. როგორც ყოველთვის, ჩინებულად თამაშობდა დინამოელთა დაცვის ცენტრი და ორგანიზატორი ძიაპშპა, რომელიც გარდა ფალინთან ბრძოლისა, წარმატებით ხელმძღვანელობდა ურთიერთმოქმედებას დაცვაში და მდგომარეობის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ყოველ საჭირო შემთხვევაში ბურთს უკან აწვდიდა ს. კოტრიკაძეს.

როცა მოსკოველები დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი მარჯვენა ფრთა უძლური აღმოჩნდა განეხორციელებინა შეტევის ძირითადი ამოცანები, მოქმედებაში შეყვანილი იქნა მარცხენა ფრთა – არბუტოვი–სავუშკინი. მაგრამ ეს მანევრიც უნაყოფო გამოდგა, ვინაიდან ელოშვილი და კოტრიკაძე ყოველთვის დროულად ასწრებდნენ ტორპედოელთა გარღვევების ლიკვიდაციას.

კარგა ხნის განმავლობაში არც ერთ გუნდს არ ჰქონდა საერთო ინიციატივა, მხოლოდ ბოლო 15 წუთის მანძილზე შეძლეს დინამოელებმა ხანგრძლივი იერიშის წარმართვა, სადაც განსაკუთრებით ძლიერნი იყვნენ შუამარბები ჭკუასელი და იამანიძე, რომელთა უპირატესობა ცენტრში სტუმრების ნახევარმცველთა მიმართ სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა. უფრო სუსტი იყო შეტევა “დინამოს” ფლანგებზე: მესხი ეპიზოდურად ებმებოდა თამაშში, ხოლო ხასაიას წინააღმდეგ აქტიურად თამაშობდა ახალგაზრდა მცველი ოსტროვსკი. შედარებით უკეთესი იყო თბილისელთა მარჯვენა გარემარბი შესვენების შემდეგ, როცა მისი ორი მეტად ძნელი ბურთი გაჭირვებით მოიგერია დენისენკომ.

მეორე წარმატებას “დინამომ” 49–ე წუთზე მიაღწია. მარცხნიდან მიღებული ბურთი ჭკუასელმა ზუსტად ისევე დაარტყა, როგორც პირველ ტაიმში, მაგრამ ამჯერად მარცხენა კუთხეში. ამ განსხვავებას დენისენკოსათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა – მან ბურთს მხოლოდ ბადეში მოუსწრო. 2:0.

ანგარიში 0:2 ასეთ შეხვედრაში თითქმის უკვე ნიშნავს დამარცხებას, მაგრამ მოსკოველები ასე იოლად არ შერიგებიან მას, დარჩენილი დროის მანძილზე ისინი ძალების მაქსიმალური დაძაბვით იბრძოდნენ მის გამოსასწორებლად. მალე არბუტოვმა კარგად ისარგებლა თბილისელთა დაცვაში დაშვებული შეცდომით, თავისუფალ ადგილზე მისცა ბურთი ივანოვს და “ტორპედოს” კაპიტანმა იგი შეუფერხებლად გაგზავნა კარში – 1:2.

ამ მოულოდნელმა გოლმა მეტი სიმწვავე შეიტანა თამაშში. “ტორპედო” ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდა, ხოლო “დინამო” არც ცდილა დაცვაზე გადასვლას, პირიქით, გუნდი სრული ძალით იბრძოდა მესამე ბურთის გატანისათვის.

ეს მეტად საპასუხისმგებლო, ძნელი შეხვედრა სრულიად დამსახურებულად მოიგო თბილისის “დინამომ” – 2:1.

მატჩის შემდეგ გაზეთ “ზარია ვოსტოკას” სპეციალური ჯილდოები გადაეცათ ა. ჭკუასელს (№8) და ა. ანისიმოვს (№5).

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა მოიგო “ტორპედომ” – 4:0. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის “დინამოს” სათადარიგო შემადგენლობა მეტად დაბალ დონეზე ატარებს თამაშებს. შეიძლება ითქვას, რომ გუნდში ნაკლებად არიან პერსპექტიული მოთამაშეები, გუნდს არა აქვს მებრძოლი კოლექტივის სახე.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 28 აპრილი, 1957 წ.